ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2024 წლის 13 ივნისის N07-01/38 გადაწყვეტილების
N1 დანართი

ბსუ-ს საგანმანათლებლო, კულტურულ და სპორტულ ღონისძიებებში და საველე პრაქტიკაზე ბსუ-ს სტუდენტთა მონაწილეობის დაფინანსების წესი

1. წინამდებარე წესი ადგენს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდეგში - ,,ბსუ" ან ,,უნივერსიტეტი") **საგანმანათლებლო** (კონფერენციები და სხვა), **კულტურულ** (შემოქმედებით) **და სპორტულ ღონისძიებებში** (შემდეგში - საუნივერსიტეტო ღონისძიება) **და საველე პრაქტიკაზე** ბსუ-ს სტუდენტთა და სპორტული/კულტურული/შემოქმედებითი გუნდების მონაწილეობისთვის ბსუ-ს ბიუჯეტიდან დაფინანსების (ხარჯების ანაზღაურების) რეგულაციას.
2. წინამდებარე წესით გათვალისწინებული საუნივერსიტეტო ღონისძიება/საველე პრაქტიკა შეიძლება განხორციელდეს: ქვეყნის შიგნით (საქართველო) ან ქვეყნის გარეთ (სხვა ქვეყანაში).
3. საუნივერსიტეტო ღონისძიების/საველე პრაქტიკაზე სტუდენტთა მონაწილეობისათვის ბსუ-ს ფაკულტეტის/სტრუქტურული ერთეულის სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე გამოიცემა ბსუ–ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანება, რომლითაც განისაზღვრება ღონისძიების/საველე პრაქტიკაზე მონაწილეობის ხარჯები, შემდეგნაირად:
3.1. **ქვეყნის შიგნით** (მათ შორის ბათუმიდან 30 კმ-ის შიგნით) **გასაწევი ხარჯები:**
ა) დღიური ხარჯის სახით - <u>არაუმეტეს 30 ლარის</u> ოდენობით (უქმე/სადღესასწაულო/გამგზავრებისა და დაბრუნების დღეების გამოურიცხავად);
ბ) საცხოვრებელის (ღამისთევისათვის) **დაქირავების ხარჯი -** <u>არაუმეტეს 50 ლარის</u> ოდენობით. საბოლოო ანგარიშსწორება განხორციელდება ფაქტობრივად გაწეული ხარჯების მიხედვით, დამადასტურებელი საბუთების წარმოდგენის საფუძველზე (წინამდებარე პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული ლიმიტის ფარგლებში).
3.2. ქვეყნის გარეთ გასაწევი ხარჯები:
ა) **დღიური ხარჯის სახით** - <u>არაუმეტეს 20 ევროს</u> ექვივალენტი ლარის ოდენობით (უქმე/სადღესასწაულო/გამგზავრებისა და დაბრუნების დღეების გამოურიცხავად);
ბ) **საცხოვრებლის** (ღამისთევისათვის) **დაქირავების ხარჯი -** - <u>არაუმეტეს 30 ევროს</u> ექვივალენტი ლარის ოდენობით.
3.3. **მგზავრობის ხარჯის სახით** (ქვეყნის შიგნით და ქვეყნის გარეთ) – განისაზღვრება შესაბამის მიმართულებაზე არსებული მგზავრობის ღირებულების გათვალისწინებით, მაგრამ არაუმეტეს ე.წ. ,,ეკონომკლასის" (ან მისი შესაბამისი კლასის) ბილეთის ღირებულებისა, სტუდენტებისათვის დაწესებული მგზავრობის საშეღავათო ფასის გათვალისწინებით (არსებობის შემთხვევაში). საბოლოო ანგარიშსწორება განხორციელდება ფაქტობრივად გაწეული ხარჯების მიხედვით, დამადასტურებელი საბუთების წარმოდგენის საფუძველზე.
3.4. ამ პუნქტის 3.1.-3.3. ქვეპუნქტებში აღნიშნული დღიური/მგზავრობის/საცხოვრებლის დაქირავების ხარჯები ღონისძიების/საველე პრაქტიკის მონაწილეს ჩაერიცხება მითითებულ საბანკო ანგარიშზე (**ხელზე მიღება**), ხოლო ბსუ-ს მიერ გათვალისწინებული იქნება და დამატებით ანაზღაურდება გადახდის წყაროსთან დასაკავებელი საშემოსავლო გადასახადი, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
4. ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებით შესაძლებელია ღონისძიების/საველე პრაქტიკის მონაწილეს განესაზღვროს (აუნაზღაუროს) ამ პუნქტის **3.1.-3.2. ქვეპუნქტებში აღნიშნულზე მეტი** ოდენობით **დღიური/საცხოვრებლის დაქირავების** ხარჯები, შესაბამისი საფუძვლის არსებობისა შემთხვევაში, კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით.